

[1]

საოჯახო მედიცინის პროფესიონალთა კავშირი

რეგენზია კლინიკური პრაქტიკის რეკომენდაციებისა და პროტოკოლების თაობაზე

ქრონიკული ხველის

გაიდლაინი

და

პროტოკოლი

დავალების განმარტება;

საოჯახო მედიცინის პროფესიონალთა კავშირმა ოქსფორდის პოლიტიკის მართვის ჯგუფთან ხელშეკრულების ფარგლებში განიხილა და მოამზადა რეცენზია ქრონიკული ხველის მართვის კლინიკური პრაქტიკის ნაციონალური სახელმძღვანელოსა და თანდართული პროტოკოლის თაობაზე.

კლინიკური პრაქტიკის სახელმძღვანელო და პროტოკოლი შეაფასა საოჯახო მედიცინის ექსპერტთა ჯგუფმა, რომელიც აერთიანებს თბილისსა და მცხეთაში მოქმედი ექვსი საოჯახო მედიცინის სასწავლო ცენტრის წარმომადგენლებს მ.შ. პრაქტიკოსი ოჯახის ექიმები და დაწესებულების ხელმძღვანელები (საოჯახო მედიცინის ეროვნული სასწავლო ცენტრი; თბილისის საოჯახო მედიცინის სასწავლო ცენტრი; საოჯახო მედიცინის ცენტრი/28 მოზრდილთა პოლიკლინიკა; სააქციო საზოგადოება „ვერე XXI“ ; ქ. თბილისის №1 სამკურნალო-პროფილაქტიკური ცენტრი; მცხეთა-მთიანეთის რეგიონული სასწავლო ცენტრი)

ზოგადი კომენტარები

უპირველეს ყოვლისა უნდა აღინიშნოს, რომ ქრონიკული ხველის მართვის კლინიკური პრაქტიკის ნაციონალური სახელმძღვანელოსა და პროტოკოლის შემუშავება და დანერგვა, ამ პრობლემის ეპიდემიოლოგიური მნიშვნელობის, მისი მართვისთვის მიზეზის სწორი და ადრეული დიაგნოსტიკის აუცილებლობის გათვალისწინებით უდავოდ საშური საქმეა.

გაიდლაინის სტრუქტურა

რეცენზირებული სახელმძღვანელოს სტრუქტურა სრულ შესაბამისობაშია კლინიკური პრაქტიკის ნაციონალური რეკომენდაციებისა (გაიდლაინები) და დაავადებათა მართვის სახელმწიფო სტანდარტების შემუშავების, შეფასებისა და დანერგვის ეროვნული საბჭოს მიერ დადგენილ მოთხოვნებთან (საბჭოს დებულება მუხლი 4, პუნქტი 14) და მოიცავს ფორმით განსაზღვრულ აუცილებელ თავებს.

გაიდლაინის შინაარსი

გაიდლაინი მოიცავს ქრონიკული ხველის განმარტებას, ეპიდემიოლოგიის მიმოხილვას, დიაგნოსტიკისა და მართვის უმთავრეს ასპექტებს, როგორც ბავშვებში, ასევე მოზრდილებში. შინაარსი ჩამოყალიბებულია ნათლად. თავმოყრილია მსოფლიოში ჩატარებული სარწმუნო კვლევების შედეგები, რომელთა გაცნობა გაზრდის პრაქტიკოსი ექიმების მოტივაციას შეასრულოს მითითებული რეკომენდაციები. ხაზგასმულია დიფერენციული დიაგნოსტიკის პროცესში კლინიკო-დიაგნოსტიკური გამოკვლევების რაციონალური გამოყენების მნიშვნელობა, რაც პჯდ ექიმებისთვის განსაკუთრებით ღირებულია.

შესაბამისობა პჯდ ექიმების პროფესიულ კომპეტენციასა და ქსელში არსებულ რესურსთან

გაიდლაინში ჩამოყალიბებული რეკომენდაციების შესრულება, პჯდ ქსელში არსებული რესურსისა და პერსონალის პროფესიული კომპეტენციის გათვალისწინებით სავსებით შესაძლებელია.

პროტოკოლები

წარმოდგენილი პროტოკოლი ითვალისწინებს დაავადებათა მართვის სახელმწიფო სტანდარტის (პროტოკოლის) ფორმა №2-ის მოთხოვნებს, მხოლოდ მითითებული არ არის ადამიანური და მატერიალურ-ტექნიკური რესურსი, რაც აუცილებელია განსაზღვრული რეკომენდაციების შესასრულებლად.

მაგ. ადამიანური რესურსი პჯდ დონეზე: ოჯახის ექიმი ან უბნის თერაპევტი/პედიატრი

მატერიალურ-ტექნიკური რესურსი: ფონეიდოსკოპი, პიკფლოუმეტრი (ასთმაზე საექვო შემთხვევებში)

რეკომენდებული მედიკამენტები.

მეორე დონეზე:

ადამიანური რესურსი: სპეციალისტი საექვო მიზეზის მიხედვით

მატერიალურ-ტექნიკური: სპირომეტრი, რენტგენის აპარატი, გასტროფოფაგური რეფლუქსის კვლევის შესაძლებლობები

მესამე დონეზე:

ადამიანური რესურსი: სპეციალისტი საექვო მიზეზის მიხედვით

კომპიუტერული ტომოგრაფი, ბრონქოსკოპი

დასკვნა:

- რეცენზირებული სახელმძღვანელო, მისი ამომწურავი შინაარსისა და პირველადი ჯანდაცვის ექიმების პრაქტიკულ საქმიანობაში გამოყენების მნიშვნელობის გათვალისწინებით, უდავოდ დადებითად უნდა შეფასდეს.